

ოქმი #11
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
ბიუროს მორიგი სხდომის

2019 წელი, 22 აპრილი
ქ. ოზურგეთი
14.00 – 16.00 საათი

თავმჯდომარეობდა: გიორგი ღურჯუმელიძე- ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე

ესწრებოდნენ: მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს წევრები: ე.გორდელაძე, ლ.ბიგვავა, გ.კილაძე, გ.ჩაგანავა, ბ.დოლიძე, ლ.მგელაძე, გ.თოიძე, დ.ჭაკნელიძე, გ.ჩავლეშვილი, ლ.საჯაია, ტ.აროშიძე.
მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე-ალ. სურგულაძე.
მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს აპარატის პასუხისმგებელი მუშაკები.
მასმედიის წარმომადგენლები.

სხდომის თავმჯდომარე გ.ღურჯუმელიძე მიესალმა ბიუროს წევრებსა და დამსწრეთ, მიაწოდა ქვორუმზე ინფორმაცია, 15 წევრიდან სხდომას ესწრება 12, სხდომა უფლებამოსილია შეუდგეს მუშაობას. გააცნო დღის წესრიგი, რომლის დამტკიცებამდე განაცხადა, რომ მუნიციპალიტეტის მერის წინადადებით დღის წესრიგს დაემატება ორი საკითხი: „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის კურორტ გომის მთის სოფელ შემოქმედის საზღვრებში მოქცევის შესახებ“ და „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული „სამოქალაქო ბიუჯეტი“ -ს განხორციელების წესის დადგენის შესახებ“, ამ ცვლილებით სხდომის დღის წესრიგი დაამტკიცეს ერთხმად.

დღის წესრიგი

1. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტში გარე ვაჭრობის რეგულირების წესის დადგენის შესახებ“- ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მიღების თაობაზე.

მომხსენებელი: გიორგი ღურგუმელიძე
თანამომხსენებლები: ალექსანდრე სურგულაძე
ლაშა თავაძე
ლავრენტი ბიგვავა

საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარემ, ლ.ბიგვავამ, განაცხადა, რომ საკითხზე იმსჯელა კომისიამ, დასკვნაში არსებული შენიშვნების უმრავლესობა გათვალისწინებულია. შევიდა წინადადებით, დადგენილების ამოქმედების ვადად განსაზღვრულიყო მიმდინარე წლის 1-სექტემბერი, ხოლო, მიმდინარე წლის 1 აგვისტომდე მერიამ საკრებულოს წარუდგინოს წესის განხორციელების ორგანიზაციულ-ტექნიკურ ღონისძიებთა გეგმა.

სხდომის თავმჯდომარემ გ.ღურგუმელიძემ განაცხადა, რომ პროექტში გასასწორებელია ტექნიკური შეცდომები, ამასთან გასათვალისწინებელია საზოგადოებრივი დარბაზის შენიშვნები, რომელიც ეხებოდა წესის ამოქმედებისათვის მოსამზადებელ ღონისძიებებს: გარე მოვაჭრეთა აღრიცხვას, მათთვის წინასწარი ინფორმაციის მიწოდებას და ალტერნატიული ფართების გამოძენას და სხვა. დადგენილების შესრულებაზე კონტროლს განახორციელებს საკრებულო.

2. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის დამტკიცების შესახებ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების მიღების თაობაზე.

მომხსენებელი: გიორგი ღურგუმელიძე
თანამომხსენებლები: გია მამაკაიშვილი
გიორგი ჩაგანავა

საკითხის განხილვისას ბიუროს წევრმა ლ.ბიგვავამ განაცხადა, რომ კომისიებისა და ფრაქციების დასკვნებში არსებულ შენიშვნებზე არ იყო საუბარი, მერიამ უნდა მიაწოდოს ინფორმაცია საკრებულოს რომელი შენიშვნა იქნა გათვალისწინებული და რომელი არა და რატომ? ეს აზრი გაიზიარა სხდომის თავმჯდომარემაც.

3. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერის 2018 წელს გაწეული საქმიანობის ანგარიშის მოსმენის შესახებ.

მომხსენებელი: გიორგი ღურგუმელიძე
თანამომხსენებელი: კონსტანტინე შარაშენიძე

4. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ მიმდინარე წლის 16 აპრილს გამართული „ღია კარის“ სხდომის ოქმის განხილვისა და შემდგომი პროცედურების განსაზღვრის თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია
თანამომხსენებელი: ნანა თავდუმაძე

ამ საკითხზე მიღებული იქნა გადაწყვეტილება ოქმი გადაეგზავნოს მუნიციპალიტეტის მერიას, რომელიც მოაწვდის ინფორმაციას საკრებულოს ოქმში დასახელებულ თითოეულ საკითხზე დაგეგმილ, გასატარებელ ღონისძიებების შესახებ, ხოლო საკრებულოს დარგობრივი კომისიები განახორციელებენ შესრულებაზე კონტროლს.

5. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის სამართლებრივი უზრუნველყოფის და ზედამხედველობის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 14 დეკემბრის

N17 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვისა და შემდგომი პროცედურების განსაზღვრის თაობაზე.

მომხსენებელი: გიორგი ღურჯუმელიძე

თანამომხსენებელი: ლაშა თავაძე

საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურისა და სამანდატო, საპროცედურო, იურდიულ საკითხთა კომისიებმა (ლ. ბიგვაჯა, ე. გორდელაძე) საკრებულოს სხდომამდე წარმოადგინონ ერთობლივი სამართლებრივი დასკვნა.

6. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის კურორტ გომის მთის სოფელ შემოქმედის საზღვრებში მოქცევის შესახებ.

მომხსენებელი: გიორგი ღურჯუმელიძე

თანამომხსენებელი: ლავრენტი ბიგვაჯა

7. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული „სამოქალაქო ბიუჯეტი“ -ს განხორციელების წესის დადგენის შესახებ.

მომხსენებელი: გიორგი ღურჯუმელიძე

თანამომხსენებელი: ალექსანდრე ბერიძე

საკითხის განხილვისას გ. ღურჯუმელიძემ აღნიშნა, რომ დასაზუსტებელია ფორმულა პროექტის შემოქმედისა და ხმის მიმცემების შესახებ.

ბიუროს წევრმა ლ. საჯაიამ განაცხადა, რომ სამოქალაქო ბიუჯეტირების წესის შემოღება მისასაღმებელია, ჯერ განხორციელდება ქალაქში, შემდგომში მუნიციპალიტეტის მთელ ტერიტორიაზე.

სხდომის თავმჯდომარის წინადადებით, საკითხი შევიდეს საკრებულოს მორიგი სხდომის დღის წესრიგში. ასევე, განსახილველად და დასკვნების წარმოსადგენად დაეწერათ დარგობრივ კომისიებს.

გადაწყვეტის:

1. დღის წესრიგში გათვალისწინებული N 1, 2, 3, 5, 6, 7 საკითხები სხდომაზე გამოთქმული შენიშვნების გათვალისწინების შემდეგ შეტანილი იქნას საკრებულოს მორიგი სხდომის დღის წესრიგში.
2. „ღია კარის სხდომის“ ოქმი გადაეგზავნოს მუნიციპალიტეტის მერიას, რომელიც მოაწვდის ინფორმაციას საკრებულოს მასში დასახელებულ თითოეულ საკითხზე დაგეგმილ, გასატარებელ ღონისძიებების შესახებ, ხოლო საკრებულოს დარგობრივი კომისიები განახორციელებენ შესრულებაზე კონტროლს.
3. N5 და N7 საკითხებზე საკრებულოს სხდომამდე დასკვნები წარმოადგინონ შესაბამისმა დარგობრივმა კომისიებმა.

გიორგი ღურჯუმელიძე

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო